ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს სხომის

ოქმი № 1

ქ. თბილისი 23 იანვარი 2023 წელი

სხდომა გახსნა თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, დეკანმა, პროფესორმა გიორგი ღაღანიძემ.

სხდომას ესწრებოდა 25 ხმის უფლების მქონე წევრი

დღის წესრიგი

1. ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებში განსახორციელებელი ცვლილებების შესახებ
   / ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი ლ. საბაური/

2. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის 2022 წლის ანგარიშის შესახებ
   / ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი ლ. საბაური/

3. ეკონომიკის საბაკლავრო პროგრამის მოდულში „ეკონომიკური პოლიტიკა“ ცვლილებების შესახებ
   / ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი ლ. საბაური/

4. ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ მარინე ხავთასის განცხადება სწავლის საფასურის შეღავათის შესახებ
   /დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი მ.ლობჟანიძე/

5. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტებისათვის სადისერტაციო თემისა და მეცნიერ-ხელმძღვანელის დამტკიცების შესახებ
   /დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი მ.ლობჟანიძე/

6. ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ თამთა თოდაძის სადისერტაციო თემის ცვლილების შესახებ
   /დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი მ.ლობჟანიძე/

7. 2022-2023 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში დოქტორანტურაში მისაღები ვაკანტური ადგილების დამტკიცების შესახებ
/დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი მ.ლობჟანიძე/

8. დოქტორანტურაში მისაღები დარგობრივი კომისიების დამტკიცების შესახებ
/დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი მ.ლობჟანიძე/

9. მიმდინარე საკითხები

მოისმინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარის, დეკანის, პროფესორ გიორგი ღაღანიძის ინფორმაცია საბჭოს სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

აზრი არავის გამოუთქვამს

გაიმართა კენჭისყრა,
კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 25
წინააღმდეგი - 0
დაადგინეს: დამტკიცდეს, წარმოდგენილი დღის წესრიგი:

1.ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებში განსახორციელებელი ცვლილებების შესახებ

/ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი ლ. საბაური/

2.ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის 2022 წლის ანგარიშის შესახებ

/ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი ლ. საბაური/

3. ეკონომიკის საბაკლავრო პროგრამის მოდულში „ეკონომიკური პოლიტიკა“ ცვლილებების შესახებ

/ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი ლ. საბაური/

4. ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ მარინე ხავთასის განცხადება სწავლის საფასურის შეღავათის შესახებ

/დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი მ.ლობჟანიძე/

5. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტებისათვის სადისერტაციო თემისა და მეცნიერ-ხელმძღვანელის დამტკიცების შესახებ

/დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი მ.ლობჟანიძე/

6. ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ თამთა თოდაძის სადისერტაციო თემის ცვლილების შესახებ

/დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი მ.ლობჟანიძე/

7. 2022-2023 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში დოქტორანტურაში მისაღები ვაკანტური ადგილების დამტკიცების შესახებ

/დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი მ.ლობჟანიძე/

8. დოქტორანტურაში მისაღები დარგობრივი კომისიების დამტკიცების შესახებ

/დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი მ.ლობჟანიძე/

9. მიმდინარე საკითხები

მოისმინეს: ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამებში განსახორციელებელი ცვლილებების შესახებ

/ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი ლ. საბაური/

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, პროფესორმა ლ. საბაურმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის, ბიზნესის ადმინისტრირების **საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში** მომართვების საფუძველზე განსახორციელებელი ცვლილებები შემდეგი სასწავლო კურსების სილაბუსებში:

- **კროს-კულტურული მენეჯმენტი** - შეფასების მეთოდებში დასწრების 5 ქულა დაემატოს აქტივობის 25 ქულას და გახდეს 30. შუალედურ გამოცდაზე 40 ტესტი (20 ქულა) შეიცვალოს 20 ტესტით (20 ქულა). გამოცდის ხანგრძლივობა კი 40 წუთის ნაცვლად გახდეს 30 წუთი.
- **ორგანიზაციული ქცევა** - შეფასების მეთოდებში დასწრების 5 ქულა დაემატოს აქტივობის 25 ქულას და გახდეს 30.
- **გლობალური ტალანტ-მენეჯმენტი** - შეფასების მეთოდებში დასწრების 5 ქულა დაემატოს აქტივობის 25 ქულას და გახდეს 30. შუალედური გამოცდის ჩასაბარებლად

განკუთვნილი დრო გახდეს 40 წუთი (იყო 1 საათი), დასკვნითი გამოცდის -1 საათი (იყო 1 საათი და 30 წუთი); შუალედური გამოცდა, 20 ტესტი, ერთი ტესტი- 1 ქულა (იყო 40 ტესტი, ერთი ტესტი-0.5 ქულა);

- **კარიერის მართვა** - შეფასების მეთოდებში დასწრების 5 ქულა დაემატოს აქტივობის 25 ქულას და გახდეს 30. შუალედური გამოცდის ჩასაბარებლად განკუთვნილი დრო გახდეს 40 წუთი (იყო 1 საათი), დასკვნითი გამოცდის - 1 საათი (იყო 1 საათი და 30 წუთი); შუალედური გამოცდაზე 40 ტესტი (ერთი ტესტი-0.5 ქულა) შეიცვალოს 20 ტესტით (ერთი ტესტი- 1 ქულა);
- **ლიდერობა მართვის ხელოვნება** - შეფასების მეთოდებში აქტივობა გახდეს 20 ქულა, სულ ტარდება 10 ზეპირი/წერითი გამოკითხვა თითოეული გამოკითხვა შეფასდეს მაქსიმუმ 2 ქულით. დაემატოს ინდივიდუალური/გუნდური პროექტის შესრულება;
- **ოპერაციათა მენეჯმენტი** - შეფასების მეთოდებში აქტივობა გახდეს 20 ქულა; შეიცვალოს შუალედური და დასკვნითი გამოცდების ჩატარების ფორმატი და დრო: შუალედური გამოცდა - 30 ქულა, გამოცდა ჩატარდეს ტესტური ფორმით კომპიუტერების გამოყენებით ფაკულტეტის რესურს-ცენტრში. გამოცდის ხანგრძლივობა -1 სთ; დასკვნითი გამოცდა -40 ქულა, გამოცდა ჩატარდეს ტესტური ფორმით კომპიუტერების გამოყენებით ფაკულტეტის რესურს-ცენტრში. გამოცდის ხანგრძლივობა - 1.5 საათი.
- **სტრატეგიული მენეჯმენტის საფუძვლები** - შეფასების მეთოდებში აქტივობა გახდეს 30 ქულა. შეიცვალოს შუალედური და დასკვნითი გამოცდების ჩატარების ფორმატი და დრო: შუალედური გამოცდა - 20 ქულა, გამოცდა ჩატარდეს ტესტური ფორმით კომპიუტერების გამოყენებით ფაკულტეტის რესურს-ცენტრში. გამოცდის ხანგრძლივობა -30 წუთი; დასკვნითი გამოცდა -30 ქულა, გამოცდა ჩატარდეს ტესტური ფორმით კომპიუტერების გამოყენებით ფაკულტეტის რესურს-ცენტრში. გამოცდის ხანგრძლივობა - 40 წუთი.
- **მიწოდების ჯაჭვის მართვა გლობალურ გარემოში** - შეფასების მეთოდებში აქტივობა გახდეს 20 ქულა. შეიცვალოს შუალედური და დასკვნითი გამოცდების ჩატარების ფორმატი: შუალედური გამოცდა - 30 ქულა, გამოცდა ჩატარდეს ტესტური ფორმით კომპიუტერების გამოყენებით ფაკულტეტის რესურს-ცენტრში. **დასკვნითი გამოცდა -40 ქულა,** გამოცდა ჩატარდეს ტესტური ფორმით კომპიუტერების გამოყენებით ფაკულტეტის რესურს-ცენტრში.
- **კულტურის სფეროს მენჯმენტი გლობალიზაციის პირობებში** - შეფასების მეთოდებში დასწრების 5 ქულა დაემატოს აქტივობის 25 ქულას და გახდეს 30 ქულა. დასკვნითი გამოცდის ფორმატს დაემატოს: დასკვნითი გამოცდა ჩატარდეს ტესტური ფორმით კომპიუტერების გამოყენებით ფაკულტეტის რესურს-ცენტრში, სულ 40 ტესტი, ერთი ტესტი -1 ქულა.

აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით არავის გამოუთქვამს

გაიმართა კენჭისყრა,

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 25

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: დამტკიცდეს, ბიზნესის ადმინისტრირების **საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში** სასწავლო კურსების სილაბუსებში, წარმოდგენილი განსახორციელებელი ცვლილებები.

მოისმინეს: ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამებში განსახორციელებელი ცვლილებების შესახებ

/ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი ლ. საბაური/

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, პროფესორმა ლ. საბაურმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის, ბიზნესის ადმინისტრირების **სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში** მომართვების საფუძველზე განსახორციელებელი ცვლილებები სასწავლო კურსების შემდეგ სილაბუსებში:

- **ორგანიზაციული ქცევა გლობალურ გარემოში** - შეფასების მეთოდებში დასწრების 5 ქულა დაემატოს აქტივობის 25 ქულას და გახდეს 30. მოხდეს შუალედური და ფინალური გამოცდის ხანგრძლივობის კორექტირება. შუალედური გამოცდის ხანგრძლივობა გახდეს 1 საათი; ფინალური გამოცდის - 2 საათი.
- **კონფლიქტებისა და მოლაპარაკებები მართვა** - შეფასების მეთოდებში დასწრების 5 ქულა დაემატოს აქტივობის 25 ქულას და გახდეს 30. მოხდეს შუალედური და ფინალური გამოცდის ხანგრძლივობის კორექტირება. შუალედური გამოცდის ხანგრძლივობა გახდეს 1 საათი; ფინალური გამოცდის - 2 საათი.
- **ტალანტების მართვა ორგანიზაციაში** -შეფასების მეთოდებში დასწრების 5 ქულა დაემატოს აქტივობის 15 ქულას და გახდეს 20 ქულა;
- **ლიდერობა და ემოციური ინტელექტი**--შეფასების მეთოდებში დასწრების 5 ქულა დაემატოს აქტივობის 15 ქულას და გახდეს 20 ქულა;
- **ლიდერობა** - შეფასების მეთოდებში დასწრების 5 ქულა დაემატოს აქტივობის 15 ქულას და გახდეს 20 ქულა;
- **ადამიანური რესურსების მართვის პრაქტიკა** - შეფასების მეთოდებში დასწრების 5 ქულა დაემატოს აქტივობის 15 ქულას და გახდეს 20 ქულა;
- **ბიზნეს პროცესების მენეჯმენტი** - შეფასების მეთოდებში აქტივობა გახდეს 30 ქულა; შეიცვალოს შუალედური და დასკვნითი გამოცდების ჩატარების დრო: შუალედური გამოცდის ხანგრძლივობა გახდეს 30 წუთი, დასკვნითი გამოცდის - 1 საათი;
- **კონკურენტული სტრატეგიები** - შეფასების მეთოდებში აქტივობა გახდეს 30 ქულა. შეიცვალოს დასკვნითი გამოცდის ჩატარების ფორმატი: დასკვნითი გამოცდა - 40 ქულა, გამოცდა ჩატარდეს წერითი ფორმით. საგამოცდო ბილეთები მოიცავს 40 ტესტს

(1 ტესტი-1 ქულა), სულ: 40 ქულა. საბოლოო გამოცდაზე დაშვების წინაპირობა: სტუდენტს სემესტრის განმავლობაში დაგროვილი უნდა ჰქონდეს არანაკლებ 11 ქულა.

- **სტრატეგიული მენეჯმენტი ციფრულ ეკონომიკაში** - შეიცვალოს შუალედური და დასკვნითი გამოცდების ფორმატი და შეფასების კრიტერიუმები: შუალედური გამოცდა ჩატარდეს ტესტური ფორმით - 20 ტესტი(ერთი ტესტი 1 ქულა), დასკვნითი გამოცდა - 40 ტესტი (ერთი ტესტი 1 ქულა). შუალედური გამოცდის ხანგრძლივობა 30 წუთი, დასკვნითი გამოცდის - 1 საათი.

აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით არავის გამოუთქვამს

გაიმართა კენჭისყრა,

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 25

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: დამტკიცდეს, ბიზნესის ადმინისტრირების **სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში** სასწავლო კურსების სილაბუსებში, წარმოდგენილი განსახორციელებელი ცვლილებები.

მოისმინეს: ეკონომიკის საბაკლავრო პროგრამის მოდულში „ეკონომიკური პოლიტიკა“ ცვლილებების შესახებ

/ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი ლ. საბაური/

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, პროფესორმა ლ. საბაურმა საბჭოს წევრებს გააცნო ეკონომიკური პოლიტიკის კათედრის ხელმძღვანელის პროფესორ რ.გველესიანის სამსახურებრივი ბარათი, საიდანაც ირკვევა, რომ ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამაში (რომელმაც აკრადიტაცია გაიარა 2021 წლის 14 დეკემბერს) შეცვლილია სასწავლო კურსები ეკონომიკური პოლიტიკის მოდულში, კერძოდ:

- V სემესტრში ისწავლება სასწავლო კურსი „ინდუსტრიული პოლიტიკის თეორია და პრაქტიკა“ (5 კრედიტი);
- VIII სემესტრში ისწავლება სასწავლო კურსი ,,კონკურენციის პოლიტიკა“

პროფესორი რ.გველესიანი ითხოვს ზემოაღნიშნული სასწავლო კურსების სწავლება გავრცელდეს 2022 წლამდე ჩარიცხულ სტუდენტთა სასწავლო პროგრამებში.

პროფესორმა ლ.საბაურმა შუამდგომლობით მიმართ საბჭოს, რათა ზემოაღნიშნული სასწავლო კურსების სწავლება გავრცელდეს 2022 წლამდე ჩარიცხულ სტუდენტთა სასწავლო პროგრამებში.

აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით არავის გამოუთქვამს

გაიმართა კენჭისყრა,

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 25

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: სასწავლო კურსების:

- „ინდუსტრიული პოლიტიკის თეორია და პრაქტიკა“ (5 კრედიტი) V სემესტრი;
- ,,კონკურენციის პოლიტიკა“ VIII სემესტრი;

სწავლება გავრცელდეს 2022 წლამდე ჩარიცხულ სტუდენტთა სასწავლო პროგრამებში.

მოისმინეს: ეკონომიკის საბაკლავრო პროგრამის მოდულში „ეკონომიკური პოლიტიკა“ ცვლილებების შესახებ

/ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი ლ. საბაური/

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, პროფესორმა ლ. საბაურმა საბჭოს წევრებს გააცნო ეკონომიკური პოლიტიკის კათედრის ხელმძღვანელის პროფესორ რ.გველესიანის სამსახურებრივი ბარათი, საიდანაც ირკვევა, რომ საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსში ,,სახელმწიფო შესყიდვების პოლიტიკა“ შეიცვალა სილაბუსი, კერძოდ, საკონტაქტო საათები 1 ლექცია და 1 სემინარი, შეიცვალა 1 ლექციით და 2 სემინარით. აღნიშნულის გამო ის ითხოვს, რომ სასწავლო კურსის - ,,სახელმწიფო შესყიდვების პოლიტიკა“ - სილაბუსი გავრცელდეს 2019 წლიდან ჩარიცხულ სტუდენტთა ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამებში.

პროფესორმა ლ.საბაურმა შუამდგომლობით მიმართ საბჭოს, რათა ზემოაღნიშნული სასწავლო კურსის ,,სახელმწიფო შესყიდვების პოლიტიკა“ - სილაბუსი გავრცელდეს 2019 წლიდან ჩარიცხულ სტუდენტთა ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამებში

აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით არავის გამოუთქვამს

გაიმართა კენჭისყრა,

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 25

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: სასწავლო კურსის - ,,სახელმწიფო შესყიდვების პოლიტიკა“ - სილაბუსი გავრცელდეს 2019 წლიდან ჩარიცხულ სტუდენტთა ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამებში.

მოისმინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის 2022 წლის ანგარიშის შესახებ

/ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი ლ. საბაური/

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, პროფესორმა ლ.საბაურმა საბჭოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის 2022 წლის ანგარიში. აღნიშნული ანგარიში საბჭოს წევრებს წინასწარ დაეგზავნათ გასაცნობად.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა

გაიმართა კენჭისყრა,

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 25

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: აღნიშნული ინფორმაცია მიღებულ იქნა ცნობად.

მოისმინეს: ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ მარინე ხავთასის განცხადება სწავლის საფასურის შეღავათის შესახებ

/დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი მ.ლობჟანიძე/

ასოცირებულმა პროფესორმა მ.ლობჟანიძემ საბჭოს წევრებს გააცნო, ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტის მარინე ხავთასის განცხადება, რომლითაც ის ითხოვს სწავლების საფასურის შეღავათს.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები,მომხრე – 25

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით, ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტს,მარინე ხავთასს, როგორც თსუს პერსონალ-დოქტორანტს, 2022-2023 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრიდან სწავლის საფასურის შეღავათი განესაზღვროს წლიური სწავლის საფასურის 50%-ით, 1125 ლარის ოდენობით.

მოისმინეს:ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტებისათვის სადისერტაციო თემისა და მეცნიერ-ხელმძღვანელის დამტკიცების შესახებ

/დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი მ.ლობჟანიძე/

ასოცირებულმა პროფესორმა,მ ლობჟანიძემ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტებისათვის სადისერტაციო თემები და მეცნიერ-ხელმძღვანელები:

1. ნინო მიქელაძე - „ფისკალური კონსოლიდაციის მოსალოდნელი მაკროეკონომიკური ეფექტების რეგულირება საქართველოში“

მეცნიერ-ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი გივი ბედიანაშვილი

2. დავით ჭაია - „განახლებადი ენერგიების მოხმარების ზემოქმედება ეკონომიკურ ზრდაზე საქართველოში“

მეცნიერ-ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი გივი ბედიანაშვილი

3. ვლადიმერ წითლაური - „აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში ეკონომიკურ ზრდაზე ფინანსური ბაზრების ზემოქმედების მაკროეკონომიკური ანალიზი“

მეცნიერ-ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი გივი ბედიანაშვილი

4. ელენე გრიგოლია - "დისკრიმინაციის ფორმების გავლენა ორგანიზაციულ კონფლიქტზე და თანამშრომელთა კმაყოფილების მართვის მექანიზმები"

მეცნიერ-ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ნატალია ხარაძე

5. ლევან ხუნჯუა - „ მცირე და საშუალო საწარმოთა განვითარების გზები საქართველოში“

მეცნიერ-ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ნინო ფარესაშვილი

6. თინათინ ძოწენიძე-"სტრესის დაძლევის და ავთენტური ლიდერული უნარები ეფექტიან მართვაში"

მეცნიერ-ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ნინო ფარესაშვილი

7. ქეთევან გოგნაძე - "სამედიცინო მომსახურების ხარისხის მართვის გაუმჯობესების გზები საქართველოს ჰოსპიტალურ სექტორში"

მეცნიერ-ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ნინო ფარესაშვილი

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები,მომხრე – 25

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: დამტკიცდეს, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტებისათვის სადისერტაციო თემები და მეცნიერ-ხელმძღვანელები:

1. ნინო მიქელაძე - „ფისკალური კონსოლიდაციის მოსალოდნელი მაკროეკონომიკური ეფექტების რეგულირება საქართველოში“

მეცნიერ-ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი გივი ბედიანაშვილი

2. დავით ჭაია - „განახლებადი ენერგიების მოხმარების ზემოქმედება ეკონომიკურ ზრდაზე საქართველოში“

მეცნიერ-ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი გივი ბედიანაშვილი

3. ვლადიმერ წითლაური - „აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში ეკონომიკურ ზრდაზე ფინანსური ბაზრების ზემოქმედების მაკროეკონომიკური ანალიზი“

მეცნიერ-ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი გივი ბედიანაშვილი

4. ელენე გრიგოლია - "დისკრიმინაციის ფორმების გავლენა ორგანიზაციულ კონფლიქტზე და თანამშრომელთა კმაყოფილების მართვის მექანიზმები"

მეცნიერ-ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ნატალია ხარაძე

5. ლევან ხუნჯუა - „ მცირე და საშუალო საწარმოთა განვითარების გზები საქართველოში“

მეცნიერ-ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ნინო ფარესაშვილი

6. თინათინ ძოწენიძე-"სტრესის დაძლევის და ავთენტური ლიდერული უნარები ეფექტიან მართვაში"

მეცნიერ-ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ნინო ფარესაშვილი

7. ქეთევან გოგნაძე - "სამედიცინო მომსახურების ხარისხის მართვის გაუმჯობესების გზები საქართველოს ჰოსპიტალურ სექტორში"

მეცნიერ-ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ნინო ფარესაშვილი

მოისმინეს: ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ თამთა თოდაძის სადისერტაციო თემის ცვლილების შესახებ

/დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი მ.ლობჟანიძე/

ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ თამთა თოდაძის სადისერტაციო თემა „ტურიზმის განვითარების ეკონომიკური პოლიტიკა პოსტკრიზისულ პერიოდში“ შეიცვალოს: „ინფლაციის რეგულირების ზემოქმედება ეკონომიკური ზრდის პოლიტიკაზე“ (მეცნიერ-ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი გულნაზ ერქომაიშვილი)

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები,მომხრე – 25

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: დამტკიცდეს, ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ თამთა თოდაძის სადისერტაციო თემის ცვლილება, თემა „ტურიზმის განვითარების ეკონომიკური პოლიტიკა პოსტკრიზისულ პერიოდში“ შეიცვალოს: „ინფლაციის რეგულირების ზემოქმედება ეკონომიკური ზრდის პოლიტიკაზე“ (მეცნიერ-ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი გულნაზ ერქომაიშვილი)

მოისმინეს : 2022-2023 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში დოქტორანტურაში მისაღები ვაკანტური ადგილების დამტკიცების შესახებ

/დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი მ.ლობჟანიძე/

დეკანის მოადგილემ, ასოცირებულმა პროფესორმა მ. ლობჟანიძემ საბჭოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა 2022-2023 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში დოქტორანტურაში მისაღები ვაკანტური ადგილები:

1. ეკონომიკა - **3 ადგილი**
2. ბიზნესის ადმინისტრირება - **3 ადგილი**

აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით არავის გამოუთქვამს
გაიმართა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: მომხრე 25
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: დამტკიცდეს 2022-2023 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში დოქტორანტურაში მისაღები ვაკანტური ადგილები:

1. სადოქტორო პროგრამა **„ეკონომიკა“ - 3 ადგილი**
2. სადოქტორო პროგრამა **„ბიზნესის ადმინისტრირება“ - 3 ადგილი**

მოისმინეს: დოქტორანტურაში მისაღები დარგობრივი კომისიების დამტკიცების შესახებ

/დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი მ. ლობჟანიძე/

დეკანის მოადგილემ, ასოცირებულმა პროფესორმა მ. ლობჟანიძემ საბჭოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა 2022 -2023 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის დოქტორანტურაში მისაღები დარგობრივი კომისიები:

ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის დარგობრივი კომისია: პროფესორი გიორგი ღაღანიძე - დეკანი (თავმჯდომარე), პროფესორი ლევან საბაური - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა, აკადემიკოსი ავთანდილ სილაგაძე, პროფესორი იური ანანიაშვილი, პროფესორი თეიმურაზ ბერიძე, პროფესორი რევაზ გველესიანი, პროფესორი სიმონ გელაშვილი, პროფესორი ელგუჯა მექვაბიშვილი, პროფესორი ეთერ ხარაიშვილი, პროფესორი მირიან ტუხაშვილი, ასოცირებული პროფესორი მანანა ლობჟანიძე - დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი მერაბ ხოხობაია - სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი.

ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის დარგობრივი კომისია:
პროფესორი გიორგი ღაღანიძე - დეკანი (თავმჯდომარე), პროფესორი ლევან საბაური - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი ნუგზარ თოდუა, პროფესორი ირაკლი კოვზანაძე, პროფესორი დავით ნარმანია, პროფესორი დემურ სიჭინავა, პროფესორი თეიმურაზ შენგელია, პროფესორი იოსებ ხელაშვილი, ასოცირებული პროფესორი მანანა ლობჟანიძე - დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი მერაბ ხოხობაია - სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი.

აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით არავის გამოუთქვამს
გაიმართა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 25
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: დამტკიცდეს 2022 -2023 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის დოქტორანტურაში მისაღები დარგობრივი კომისიები:

ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის დარგობრივი კომისია: პროფესორი გიორგი ღაღანიძე - დეკანი (თავმჯდომარე), პროფესორი ლევან საბაური - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა, აკადემიკოსი ავთანდილ სილაგაძე, პროფესორი იური ანანიაშვილი, პროფესორი თეიმურაზ ბერიძე, პროფესორი რევაზ გველესიანი, პროფესორი სიმონ გელაშვილი, პროფესორი ელგუჯა მექვაბიშვილი, პროფესორი ეთერ ხარაიშვილი, პროფესორი მირიან ტუხაშვილი, ასოცირებული პროფესორი მანანა ლობჟანიძე - დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი მერაბ ხოხობაია - სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი.

ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის დარგობრივი კომისია:
პროფესორი გიორგი ღაღანიძე - დეკანი (თავმჯდომარე), პროფესორი ლევან საბაური - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი ნუგზარ თოდუა, პროფესორი ირაკლი კოვზანაძე, პროფესორი დავით ნარმანია, პროფესორი დემურ სიჭინავა, პროფესორი თეიმურაზ შენგელია, პროფესორი იოსებ ხელაშვილი,

ასოცირებული პროფესორი მანანა ლობჟანიძე - დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი მერაბ ხოხობაია - სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი.

მოისმინეს: საბჭოს თავმჯდომარემ, დეკანმა, პროფესორმა გ.ღაღანიძემ საბჭოს წევრებს გააცნო ინფორმაცია პერსონალის ჯანდაცვის დაზღვევის შესახებ, კერძოდ უნივერსიტეტი განიხილავს რამოდენიმე ვერსიას და უახლოეს დღეებში თანამშრომლები ამის შესახებ იქნებიან ინფორმირებული და შეეძლებათ გადაწყვეტილების მიღება.

ამასთან, პროფესორმა გ.ღაღანიძემ საბჭოს წევრებს მიაწოდა ინფორმაცია,იმის შესახებ, რომ კომისია ინტენსიურად მუშაობს თსუ-ს ბიუჯეტზე და დამთავრდება თვის ბოლოს.

ინფორმაცია მიღებულ იქნა ცნობად.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე,

დეკანი,პროფესორი **გ. ღაღანიძე**

მდივანი, ასოცირებული პროფესორი

მ. მაისურაძე